სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 12 თებერვლის სხდომის ოქმით №1 დამტკიცებული
მედიცინის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის ,,დ“ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილების საფუძველზე, შევიდეს ცვლილება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 12 თებერვლის სხდომის ოქმით №1 დამტკიცებული მედიცინის ფაკულტეტის დებულებაში:

1. დებულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის ,,ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ო) დეკანის წარდგინებით ამტკიცებს საატესტაცო კომისიას. ასევე, დეკანის წარდგინებით ნიშნავს სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტის ხელმძღვანელებს“.

2. დებულების მე-18 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,5. ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურებია:

ა) კლინიკური ანატომიისა და ოპერატიული ქირურგიის კათედრა;
ბ) დერმატოვენეროლოგიის კათედრა;
გ) შინაგან დაავადებათა პროპედევტიკისა და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის კათედრა;
დ) შინაგან დაავადებათა კათედრა;
ე) ინფექციურ დაავადებათა კათედრა;
ვ) მეანობა-გინეკოლოგიის და რეპროდუქტოლოგიის კათედრა;
ზ) ნევროლოგიის და ნეიროქირურგიის კათედრა;
თ) ონკოლოგიის და პალიატიური მედიცინის კათედრა;
ი) პათოლოგიისა და სასამართლო მედიცინის კათედრა;
კ) პედიატრიის კათედრა;
ლ) გადაუდებელი ქირურგიისა და კრიტიკული მედიცინის კათედრა;
მ) ფარმაკოლოგიის კათედრა;
ნ) ფსიქიატრიისა და სამედიცინო ფსიქოლოგიის კათედრა;

ო) ზოგადი ქირურგიის კათედრა
პ) კლინიკური ქირურგიისა კათედრა;
ჟ) უროლოგიის კათედრა;
რ) კლინიკური და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების კათედრა;
ს) ოფთალმოლოგიის კათედრა;
ტ) სამედიცინო რადიოლოგიის და ენდოსკოპიის კათედრა;
უ) საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი, რომლის შემადგენლობაშია: საზოგადოებრივი ჯანდაცვის და ეპიდემიოლოგიის კათედრა და სამედიცინო ეთიკის კათედრა
ფ) სტომატოლოგიის დეპარტამენტი, რომლის შემადგენლობაშია: თერაპიული სტომატოლოგიის კათედრა, ბავშვთა სტომატოლოგიის კათედრა, ყბა-სახის ქირურგიის კათედრა, ორთოპედიული სტომატოლოგიის და იმპლანტოლოგიის კათედრა“.

3. დებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 32^1-მუხლი:

,,მუხლი 32^1. ფაკულტეტის დამხმარე სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული

ფაკულტეტის დამხმარე სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს არკადი ჯორბენაძის სახელობის კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი, რომლის საქმიანობის მიზნები და წესი განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით.